

ამონარიდი ექსპერიმენტში მონაწილე - მიხეილ მეხრიშვილის ჩვენებიდან: „პირველ ნაკვეთზე, როცა დაიწყო ხვნა „zetor proxima power 120“-ის ტრაქტორმა დაახლოებით 50-60 მეტრში ტრაქტორმა დაიწყო ბუქსაობა, ასევე ვიზუალურად შევამჩნიე, რომ სიმძლავრე არ ყოფნიდა და ხტუნავდა ტრაქტორი.როგორც მე დავაკვირდი თითქმის ყველა გავლაზე ტრაქტორი აბუქსავებდა და ძრავს ხმაზე ეტყობოდა, რომ გადატვირთვით მუშაობდა. ასევე ხვნის პროცესში შეიმჩნეოდა, რომ ტრაქტორი დაბუქსავების შემდეგ ხტუნავდა ადგილზე და სვლას ვერ აგრძელებდა.ამის შემდეგ „zetor proxima power 120“-დან ჩაიხსნა გუთანი და იგივე გუთანი მე და არჩილმა გადავიტანეთ „new holland TD5 110“-ზე. რის შემდეგაც ამ ტრაქტორით მოხდა 3 ხნულის გავლება პირველ ნაკვეთში ისე, რომ ხვის პროცესში შეფერხებას ადგილი არ ჰქონია. ტრაქტორს არ უბუქსავნია და არც ხტუნვა არ დაუწყია“

ამონარიდი ექსპერიმენტში მონაწილე, შპს „მექანიზატორის“ ბრიგადის მენეჯერის არჩილ მმანაშვილის ჩვენებიდან - „პირველი ხნულის გატარებისას, დაახლოებით 60 მეტრში „ზეტორ პროქსიმა პოვერ 120“-ის მარკის ტრაქტორმა დაიწყო ადგილზე ბუქსაობა, რის გამოც ტრაქტორი ახტუნავდა, ამიტომ მომიწია გუთნის ოდნავ ზემოთ ამოწევა, რის შემდეგაც ტრაქტორმა განაგრძო ხვნა. მეორე ხნულის დროსაც იგივე განმეორდა. „ნიუ ჰოლანდის“ ტიპის ტრაქტორის მიერ მოხდა 3 ხნულის გავლება პირველ ნაკვეთში ისე, რომ ხვნის პროცესში შეფერხებას ადგილი არ ჰქონია“.

ამონარიდი ექსპერიმენტში მონაწილე, შპს აგრარული უნივერსიტეტის საცდელი ბაზების სართიჭალის საცდელი სადგურის დირექტორის ადოლი ტყეშელაშვილის ჩვენებიდან - „საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს გამოიკვეთა, რომ „ნიუ ჰოლანდი“-ს და „ზეტორი“-ს მარკის ტრაქტორები ჩაყენებული იყო აბსოლუტურად ერთნაირ პირობებში, კერძოდ ნიადაგის ტიპი, მოხვნის სიღრმე, სამუშაო ფართობი და სხვა. აღმოჩნდა რომ „ზეტორი“-ს მარკის ტრაქტორს „ნიუ ჰოლანდი“-ს მარკის ტრაქტორთან შედარებით მუშაობის (ხვნა) პროცესში გაუჭირდა, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ხნულის ხარისხი შედარებით უკეთესი იყო „ნიუ ჰოლანდი“-ს მარკის ტრაქტორით მოხვნის შემთხვევაში. „ნიუ ჰოლანდი“-ს მარკის ტრაქტორის მიერ ნიადაგის მოხვნის შემთხვევაში ნიადაგის ხნულის ზედაპირი იყო სწორი და თანაბარი ასევე ღარების გარეშე, რაც ნიადაგის მოხვნის შემთხვევაში მნიშვნელოვანია. „ზეტორი“-ს მარკის ტრაქტორით მოხვნის დროს ნიადაგის ხნულის ზედაპირი არ იყო სწორი და ასევე ჰქონდა ღარები.“